

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საგადასახადო ადმინისტრირების პრაქტიკამ გამოავლინა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას, მათ შორის უცხოური საწარმოს და არარეზიდენტი ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვაზე დადგომა, გადასახადების ნაწილში მთელი რიგი ტექნიკური და რედაქციული ხასიათის საკითხები. ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად გამიჯვნის გაუქმება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

- პროცედურების გამარტივება და ბიზნესის წარმოების ლიბერალიზაცია
- ადმინისტრირების ეფექტურობის ამაღლება
- ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმება
- სამართალდარღვევის ნორმათა სრულყოფა
- ჰარმონიზაცია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სასაქონლო ნომენკლატურასთან

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

1. ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი ბანკების გადახდისუნარობის გამო გრძელდება მათზე საურავების დარიცხვა და ვრცელდება იძულებითი ღონისძიებების გატარება საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. პროექტის შესაბამისად, მე-2 მუხლის მე-6 ნაწილს ემატება „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფ ბანკებზე რიცხული საგადასახადო დავალიანებათა მიმართებით საკითხების რეგულირება უნდა მოხდეს „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საგადასახადო დავალიანებათა დებულებების გამოყენებით. აღნიშნული მიზნად ისახავს ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფ ბანკების შეანაბრეთა ინტერესების დაცვას.

2. მე-12 მუხლის:

მე-12 ნაწილში შესატანი ცვლილებით პროცენტის დეფინიციაში ემატება, განმარტება, რომლის მიხედვითაც პროცენტს ასევე წარმოადგენს საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება (თანხა) ამ ანაზღაურების მისაღებად განხორციელებული სადაზღვევო შენატანების გამოკლებით.

21-ე ნაწილში იცვლება უიმედო ვალის განმარტება. შემოთავაზებით, უიმედო ვალს წარმოადგენს საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია.

36-ე ნაწილის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, ძირითად საშუალებას წარმოადგენს მატერიალური აქტივს, რომელსაც პირი ერთ წელზე მეტი ხნით

იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის, ანუ ეს შესაძლებელია გაგებულ იქნას ისე რომ, თუ პირი ერთ წელზე ნაკლები ხნით იყენებს მატერიალურ აქტივს, იგი ძირითად საშუალებად არ უნდა განვიხილოთ. ცვლილება რედაქციულად ასწორებს აღნიშნულ ხარვეზს.

პროექტი ითვალისწინებს მე-12 მუხლში 48-ე ნაწილის დამატებას, ანუ ბიოლოგიური აქტივის დეფინიციის შემოღებას, რითაც განისაზღვრა, რომ ბიოლოგიური აქტივი არის ცხოველი ან მცენარე.

ქონების გადასახადის მიზნებიდან გამომდინარე მე-12 მუხლი 49-ე ნაწილის დამატებით შემოდის ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიის განმარტება.

პირის საქმიანობაზე საგადასახადო კონტროლის მიზნებიდან გამომდინარე მე-12 მუხლს ემატება 50-ე ნაწილი, რომლის შესაბამისად შემოდის შემოწმების მასალის დეფინიცია.

მე-12 მუხლს ემატება 51-ე ნაწილი, რომელიც ფიზიკური პირის საქართველოს რეზიდენტად განსაზღვრის მიზნებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირის დეფინიციის შემოღებას.

პროექტით მე-12 მუხლს ემატება 52-ე ნაწილი, რომლითაც განიმარტება შეზღუდული ფასიანი ქაღალდი.

3. პროექტის შესაბამისად მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლითაც უქმდება ეკონომიკური საქმიანობის დაყოფა სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად, შესაბამისად ხდება ეკონომიკურ საქმიანობად განსაზღვრული საქმიანობების ჩამონათვლის ოპტიმიზაცია. კერძოდ, შემოთავაზებით ეკონომიკურ საქმიანობას აღარ მიეკუთვნება დაქირავებით მუშაობა და ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებზე და ანაბრებზე. ეკონომიკური საქმიანობის ახალი რედაქციიდან გამომდინარე ამოღებულია მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილები.

4. მე-18 მუხლში ცვლილება გამომდინარეობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით პროექტით განსაზღვრული ცვლილებიდან. ანუ, ცვლილება შედის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის „პ“ ქვეპუნქტში და შესაბამისად ზუსტდება, რომ მომსახურებას, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება, განეკუთვნება ფინანსური ოპერაციები ან/და ფინანსური მომსახურება.

პროექტით ანალოგიური ცვლილებები შედის: 26¹-ე მუხლის მე-2 ნაწილში, 26³-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტში, 142¹-ე მუხლში და 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში.

5. პროექტის შესაბამისად მე-19 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის მიხედვითაც საფინანსო-საბანკო სფეროს კანონმდებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების, ფინანსური ოპერაციებისა და ფინანსური მომსახურების დეფინიცია. კონკრეტულად და ზუსტად განისაზღვრა ფინანსური მომსახურების სახეები. პროექტი მიზნად ისახავს ფინანსური ინსტრუმენტების და ფინანსური ოპერაციების გამიჯვნას და შესაბამისად განსაზღვრავს, რომ მათთან დაკავშირებული მომსახურება განეკუთვნება ფინანსურ მომსახურებას.

6. მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტში შეტანილი ცვლილება გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 14 მარტის №5913 კანონით შეტანილი ცვლილებიდან, საიდანაც ამოღებულია ცნება „საწესდებო კაპიტალი“, ამ კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ კანონის“

შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ნაცვლად „საწარმოს საწესდებო კაპიტალისა“ ჩაწერილია „საწარმოს კაპიტალი“.

7. 24-ე მუხლის დღეს არსებული რედაქციით საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება საქართველოში მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი. დაკონკრეტებას საჭიროებს, რა ითვლება საქართველოში მომსახურების გაწევად, რადგან რიგ შემთხვევებში (მაგალითად ინტერნეტით მომსახურების გაწვევისას ან ინფორმაციის მიწოდებისას) იწვევს გაუგებრობას როდის ითვლებოდა მომსახურება საქართველოში გაწეულად. „ბ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია მომსახურების მიწოდება და დამატებულია „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც კონკრეტდება, რომ მომსახურება საქართველოში გაწეულად ითვლება თუ: მომსახურება უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოში მდებარე მოძრავ ან უძრავ ქონებასთან, მომსახურება ფაქტობრივად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე; მომსახურება დაკავშირებულია საქართველოს რეზიდენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან; მომსახურების ფაქტობრივად გაწვევის ადგილი არის საქართველო და მომსახურება ხორციელდება კულტურის, ხელოვნების, განათლების, ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში; მომსახურების გაწევა უკავშირდება ტვირთების გადატანას ან მგზავრთა გადაყვანას და ტრანსპორტირების დაწყებისა და დამთავრების ადგილი საქართველოა; მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოშია და მომსახურების გამწევი საქართველოს რეზიდენტია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება სხვა ქვეყანაში მისი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, რომელიც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევა სხვა ქვეყანაში (გარდა საქართველოსა) გასწია მომსახურება; მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები სხვადასხვა სახელმწიფოშია და მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად (მათ შორის, მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი გაწეულია საქართველოში, მიუხედავად მისი ფაქტობრივად გადახდის ადგილისა), რომელიც ადასტურებს, რომ მომსახურების გამწევა საქართველოში გაწია მომსახურება.

„ე“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილებით ზუსტდება, რომ რეზიდენტი იურიდიული პირის აქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავალს.

პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილება გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან, კერძოდ სიტყვები „სამეწარმეო საქმიანობასთან“ შეცვლილია სიტყვებით „ეკონომიკურ საქმიანობასთან“.

მე-3 ნაწილის დამატებით ზუსტდება, რომ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს არ განეკუთვნება საერთაშორისო ფინანსურ კომპანიებს შორის ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

8. 26¹-ე მუხლის მე-2 ნაწილში ემატება, რომ არა მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური მომსახურების გაწვევის შედეგად მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს ერთობლივი შემოსავლის 10%-ს, როგორც მოქმედ რედაქციაშია, არამედ ფინანსური ოპერაციების განხორციელებიდანაც მიღებული შემოსავალი. ცვლილება გამომდინარეობს ფინანსური მომსახურების დეფინიციის შეცვლიდან.

9. 26²-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილება გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან. სიტყვები „სამეწარმეო საქმიანობა“ შეცვლილია სიტყვებით „ეკონომიკური საქმიანობა“.

10. 26³-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტში გაკეთებულია დამატება, რომლის შესაბამისადაც თუ ლიცენზირებულმა ფინანსურმა ინსტიტუტმა საერთაშორისო საწარმოსათვის განხორციელა ფინანსური ოპერაციები ან/და გაუწია ფინანსური მომსახურება არ უუქმდება საერთაშორისო საწარმოს სტატუსი.

11. 29-ე მუხლის პირველ ნაწილში, მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტსა და მე-5 ნაწილში შესატანი ცვლილება გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან.

კოდექსის მოქმედი რედაქციით საქართველოში უცხოური საწარმოს მუდმივ დაწესებულებად ჩამოყალიბების საფუძველს წარმოშობს მხოლოდ სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობის განხორციელება საქართველოში. ვინაიდან კოდექსის მოქმედი რედაქციით, ქონების იჯარით გადაცემა წარმოადგენს არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას, ქონების იჯარით გადაცემა არ წარმოშობს ამ არარეზიდენტი პირის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში. პროექტის შესაბამისად, ქონების იჯარით გადაცემა წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. ამიტომ მუხლში მე-13 ნაწილის სახით შედის დამატება, რომლითაც ზუსტდება, რომ უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების იჯარით ან/და სხვა ამგვარი ფორმით გაცემა არ იწვევს ამ უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საქართველოში მუდმივი დაწესებულების ვალდებულებას.

12. 34-ე მუხლის მოქმედი რედაქციით საქართველოს რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, თუ იგი მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში. პროექტის შესაბამისად, საქართველოს რეზიდენტობა, ამავდროულად შეიძლება მიენიჭოს მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ პირს საქართველოს ფინანსთა და იუსტიციის მინისტრების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით, რისთვისაც ემატება 5¹ ქვეპუნქტი.

13. 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი რედაქციულად დახვეწილია, ამასთან, ამოღებულია პირის (მათ შორის უცხოური საწარმოს) ვალდებულება წარადგინონ ინფორმაცია საქართველოში გახსნილი საბანკო ანგარიშების შესახებ.

14. პროექტი გულისხმობს 53-ე მუხლის დებულებების პირველ და მეორე ნაწილად გამიჯვნასა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას. კერძოდ, პირველი ნაწილი აზუსტებს, რომ ცალკეული საკითხების გადაწყვეტისას საგადასახადო ორგანოს სახელით მომზადებულ დოკუმენტებზე (მათ შორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე) შემოსავლების სამსახურის უფროსს უფლება აქვს მოახდინოს თანამშრომელზე ხელმოწერის უფლებამოსილების დელეგირება, ხოლო მეორე ნაწილი აზრობრივად იგივეა, რაც ამჟამად მოქმედი რედაქცია.

15. პროექტის შესაბამისად 57-ე მუხლის მე-4 ნაწილში შესატანი ცვლილებით ზუსტდება, რომ სრულ ღარებში ხდება დეკლარაციაში/გაანგარიშებაში ნაჩვენები/გაანგარიშებული ჯამური საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი გაანგარიშება და არა დასაბეგრ ოპერაციაზე გადასახადის თანხის განულება.

16. პროექტის შესაბამისად საგადასახადო კოდექსს ემატება IX¹ თავი, რომლითაც საომარი მოქმედებების გამო დაზარალებულ პირებზე წესდება საგადასახადო შეღავათები, კერძოდ, პროექტი საომარი მოქმედებების გამო დაზარალებულ პირებზე ითვალისწინებს: დეკლარაციის წარდგენის ვადების გადავადებას, გადასახადების გადახდის ვადების გადავადებას, ამ კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადების გადავადებას, საომარი მოქმედებების შედეგად განადგურებული და დაზიანებული ფასეულობის ჩამოწერის უფლებას, დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. შეღავათების დაწესება ხდება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

17. მე-80 მუხლში შემოთავაზებული დამატების შესაბამისად „საგადასახადო მოთხოვნის“ წარდგენის საფუძველია მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევის მიქცევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულ ვალდებულებას ითვალისწინებს კოდექსის მოქმედი რედაქციის 86-ე მუხლი (მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევის მიქცევა), რაც პრაქტიკიდან გამომდინარე შეუსაბამო აღმოჩნდა და შემოთავაზებული დამატებით სწორდება ხარვეზი.

18. 84-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბებულია ახალი რედაქციით, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების ღონისძიებები არ შეიძლება იყოს მიმართული იმ აქტივების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის საკუთრებას, არ აღირიცხება მის ბალანსზე და მიეკუთვნება იმ პირების აქტივებს, რომელსაც იგი უწევს მომსახურებას.

19. 85-ე მუხლის 3¹ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქცია ავალდებულებს საგადასახადოს მარეგისტრირებელ ორგანოსათვის გაგზავნილ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ შეტყობინებაში აღნიშნოს ის ზღვრული თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს შესაბამისი ქონებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება. იმის გამო, რომ წინა პერიოდში გაგზავნილ შეტყობინებაში ყოველთვის უფრო ნაკლები თანხაა ნაჩვენები ვიდრე გადამხდელს ერიცხება კონკრეტული დღის მდგომარეობით (გადამხდელს დავალიანებაზე ყოველდღიურად ერიცხება საურავები), საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის მთლიანად დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება. გარდა აღნიშნულისა, მოგვიანებით, დავალიანების მქონე გადამხდელის სიმრავლის გამო, ასევე შეუძლებელია შეტყობინებების გადამხდელზე და მარეგისტრირებელზე სისტემატური გაგზავნა. ამდენად, საგადასახადო ორგანო კარგავს შესაძლებლობას გირავნობა/იპოთეკით დატვირთული ქონებაზე სრულად დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. შესაბამისად, მიზანშეწონილია „ბ“ ქვეპუნქტის ამოღება.

ემატება მე-3³ ნაწილი, რომლის შესაბამისადაც იმ შემთხვევაში, თუ მარეგისტრირებელ ორგანოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის შესახებ, ელექტრონულ დოკუმენტზე ელექტრონულ ხელმოწერას ამ პირებისათვის აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

მე-9 ნაწილის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის გაუქმებას მხოლოდ საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით თუ ასეთი ქმედება სახელმწიფო ინტერესია, პროექტით, საგადასახადო ორგანოს, გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევისა, უფლება ეძლევა გააუქმოს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, თუ ქონების სანაცვლოდ მიიღებს

ამონაგებ თანხას, ქონების სანაცვლოდ შესაბამის თანხაზე მიიღებს საბანკო ან საფინანსო გარანტიას 84¹ მუხლით დადგენილ შემთხვევაში.

20. პროექტით 86-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით. ეს მუხლი სტილისტურად და ტექნიკურად დახვეწილია. ოპტიმალურადაა ჩამოყალიბებული მესამე პირის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის პროცედურა. ამ მუხლის შესაბამის ნაწილებში სიტყვების „გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის“ ნაცვლად ჩაწერილია სიტყვები „გადასახადის გადამხდელი“. ცალკე ნაწილადაა (მე-2 ნაწილი) ჩამოყალიბებული „საგადასახადო მოთხოვნაში“ ჩასაწერი რეკვიზიტები, რომელშიც მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით ამოღებულია „საგადასახადო მოთხოვნის“ გაგზავნის (გაცემის) თარიღი. მოქმედი რედაქცია გადამხდელს ავალდებულებს „საგადასახადო მოთხოვნის“ მიღებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს „საგადასახადო მოთხოვნაში“ აღნიშნული თანხა ან საგადასახადო ორგანოს გადასცეს შესაბამისი ქონება. „საგადასახადო მოთხოვნის“ შეუსრულებლობისას შესაბამისი თანხა საბანკო ანგარიშიდან ჩამოიწერება საინკასო დავლებით. შემოთავაზებული რედაქციით „საგადასახადო მოთხოვნის“ შეუსრულებლობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს პირზე 20 სამუშაო დღის ვადაში გაავრცელოს 84-ე მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგადასახადო უზრუნველყოფის ღონისძიებები, კერძოდ, გადამხდელის საბანკო ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერა და სალაროდან ნაღდი ფულის სახსრების ამოღება. ამოღებულია დებულებები პირის მიერ წარდგენილი „საგადასახადო მოთხოვნის“ გასაჩივრების უფლებისა და მესამე პირის დროებით მფლობელობაში მყოფი ქონებისა ან/და გადამხდელის მიერ ქონებრივი უფლებების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლობის შესახებ, ვინაიდან საგადასახადო დავის საფუძველს წარმოადგენს „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულებაზე უარი, რაც რეგულირდება ამ კოდექსის XIX თავით, შესაბამისად ამ მუხლში გასაჩივრების უფლების შესახებ ჩანაწერის არსებობის საჭიროება აღარ არის.

21. 87-ე მუხლს ემატება 3¹ ნაწილი, რომლის შესაბამისადაც 85-ე მუხლში შეტანილი დამატების ანალოგიურად, თუ მარეგისტრირებელ ორგანოს და/ან საბანკო დაწესებულებასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ინფორმაციის ელექტრონულად გაცემის შესახებ, ელექტრონულ დოკუმენტზე ელექტრონულ ხელმოწერას ამ პირებისათვის აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

მე-9 ნაწილში შესატანი ცვლილებით, სიტყვები „საგადასახადო ინსპექცია“ შეცვლილია საგადასახადო ორგანოთი.

22. საგადასახადო დავალიანების აღიარების შემთხვევაში გადამხდელს უფლება არ აქვს გაასაჩივროს აღიარებული საგადასახადო დავალიანება და უნდა გადაიხადოს გადასახადი აღიარებული დავალიანების მიხედვით, შესაბამისად დაუსაბუთებელია კანონის მოთხოვნა საინკასო დავლებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები საგადასახადო დავალიანების აღიარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. შესაბამისად, პროექტით 89-ე მუხლის პირველ ნაწილში შედის ცვლილება, რის შესაბამისადაც აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა საგადასახადო დავალიანების თანხები საბანკო ანგარიშებიდან საინკასო დავლებით ჩამოწეროს იმავდროულად, 10 დღიანი ვადის გარეშე.

მე-2 ნაწილის მოქმედი რედაქციით, გადაწყვეტილებას გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საბანკო ანგარიშიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილებას გადასცემს მოვალეს და იმ საბანკო დაწესებულებას,

რომელშიც მოვალეს გახსნილი აქვს საბანკო ანგარიში, რაც ქმნის პრობლემას, ჩანაწერი ამ ვალდებულების შესახებ ამოღებულია.

პროექტი მე-3 ნაწილში შესატანი ცვლილება აკონკრეტებს, რომ საინკასო დავალება გადასახადის, საურავის და ჯარიმის თანხების შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვის შესახებ, წარედგინება იმ საბანკო დაწესებულებას, რომელშიც მოვალეს გახსნილი აქვს საბანკო ანგარიში.

მე-3 ნაწილის შემდეგ ემატება 3¹ ნაწილი რომლის შესაბამისადაც 85-ე და 87-ე მუხლებში შეტანილი დამატებების ანალოგიურად თუ საბანკო დაწესებულებასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის შესახებ, ელექტრონულ დოკუმენტზე ელექტრონულ ხელმოწერას ამ პირებისათვის აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

მე-4 ნაწილში შესატანი ცვლილება აკონკრეტებს, რომ საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებაში უნდა მიეთითოს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საინდენტიფიკაციო ნომერი და გადასარიცხი თანხის ოდენობა, რასაც მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს. ამასთან, ცვლილება გულისხმობს, რომ თუ საბანკო დაწესებულების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან გაფორმებულია ხელშეკრულება და საგადასახადო ორგანოს მიერ ერთ-ერთ გახსნილ ანგარიშზე გამოწერილი საინკასო დავალება ავტომატურად შესაძლებელია გავრცელდეს სხვა ანგარიშებზე, მაშინ საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებაში მიეთითება ერთ-ერთი გახსნილი საბანკო ანგარიში.

23. 95-ე მუხლის მოქმედი რედაქცია გადამხდელს აძლევს შესაძლებლობას თავი აარიდოს საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ სანქციებს. აღნიშნული გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ დაგვიანებით დეკლარაციის წარმოდგენა გადამხდელს ეთვლება შესწორებული დეკლარაციის წარმოდგენად, მიუხედავად იმისა, ანხორციელებდა თუ არა გადამხდელი საანგარიშო პერიოდში სამეურნეო ოპერაციებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საგადასახადო კოდექსის 95-ე მუხლის მე-8 ნაწილში სიტყვა „შეწორებული“ შეიცვალოს „დაგვიანებით წარმოდგენილი“.

24. 97-ე მუხლის მე-3 ნაწილში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, ანუ ნაცვლად კოდექსისა იწერება „ამ კოდექსის“.

25. პროექტით მე-100 მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით. ცვლილებით მე-100 და 101-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებები ჩამოყალიბებულია ერთ მუხლად. მე-100 მუხლის მოქმედი რედაქციის პირველი ნაწილის თანახმად საწარმო ან ორგანიზაცია ვალდებულია სახელმწიფო რეგისტრაციიდან ან ეკონომიკური საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის ვადაში საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს თავისი საქმიანობის ადგილის მიხედვით, ასევე ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ინდივიდუალური მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის ვადაში საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილის მიხედვით. იმავედროულად, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად ეკონომიკური საქმიანობა საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვის გარეშე იწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლი საწარმოს (ინდივიდუალურ მეწარმეს) ფაქტიურად უფლებას აძლევს ეკონომიკური საქმიანობა დაიწოს საგადასახადო აღრიცხვაზე დადგომამდე, ხოლო პარალელურად 130-ე მუხლი ამგვარი ქმედებისათვის ითვალისწინებს სანქციას, რეალურად იქმნება ხარვეზი. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ცვლილება შედის მე-100 მუხლში, რომლითაც

საწარმო/ორგანიზაცია ვალდებულია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით, განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს. ამასთან, მუხლში ცვლილებები შედის ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან გამომდინარე. პროექტით მე-4 ნაწილი ყალიბდება ახალი რედაქციით, 29-ე მუხლში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე და გულისხმობს უცხოური საწარმოებისათვის, რომელთაც 29-ე მუხლის შესაბამისად არ წარმოეშობათ მუდმივი დაწესებულების რეგისტრაციის ვალდებულება საქართველოში, მაგრამ ფლობენ გარკვეულ ქონებას და წარმოეშვათ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის გადახდის ან/და დეკლარირების ვალდებულება, უფლების მიცემას განცხადებით მიმართონ საგადასახადო ორგანოს, საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით. აღნიშნული უზრუნველყოფს ასეთი პირების მიერ გადასახადის გადახდის ვალდებულების დადგომის დროს პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაჭრას, ვინაიდან მოქმედი რედაქცია არ განსაზღვრავს მათი რეგისტრაციის ვალდებულებას.

ამდენად, პროექტით მუხლი რედაქციულად დახვეწილია, ხოლო პირის საგადასახადო რეგისტრაციაზე დადგომისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების პროცედურა – გამარტივებული.

26. პროექტით გაუქმებულია 101-ე მუხლი. ცვლილება გამომდინარეობს მე-100 მუხლში შეტანილი ცვლილებებიდან.

27. 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის წერილობითი ბრძანების საფუძველზე, უფლება აქვს მოითხოვოს გადასახადის გადამხდელისაგან/საგადასახადო აგენტისაგან ან მისი წარმომადგენლისაგან სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა. ამ კოდექსის IX თავი გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის მიზნით ისედაც ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის მოტივირებული ბრძანების დაწერას. შესაბამისად, მუხლში შესატანი ცვლილებით გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის მიზნით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღარ არის საჭირო სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნაზე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ ბრძანების დაწერა.

28. 103-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციის შესაბამისად საბანკო დაწესებულებას ევალებოდა საგადასახადო ორგანოსათვის ეცნობებინა პირების პირველად გახსნილი ანგარიშის ან ყველა ანგარიშის დახურვის შესახებ და საგადასახადო ორგანოს მიერ ასეთ პირველად გახსნილ ანგარიშზე გამოწერილი საინკასო დავალება ავტომატურად გაეგრძელებინა აღნიშნული პირის ყველა ანგარიშზე. შემოთავაზებული ცვლილებით ბანკებს დაევალა საგადასახადო ორგანოს ინფორმაცია მიაწოდოს პირის მიერ გახსნილი ყველა ანგარიშის შესახებ, ხოლო საგადასახადო ორგანოს მიერ ამ პირების საიდენტიფიკაციო ნომრებზე გამოწერილი საინკასო დავალება ან დადებული ყადაღა ავტომატურად გააგრძელოს ბანკში არსებულ მათ ყველა ანგარიშზე.

შემოთავაზებით პირველ ნაწილს ემატება „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც საგადასახადო კონტროლის მიზნებიდან გამომდინარე ბანკები, ან საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი ორგანიზაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული არიან მიაწოდონ ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის გახსნილი ანგარიშის ან ანგარიშის დახურვის შესახებ.

29. პროექტით 106-ე მუხლს ემატება მე-6 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც **XV** თავით გათვალისწინებული საგადასახადო კონტროლის პროცედურების ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციებს ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. დამატება გამომდინარეობს იქიდან, რომ საჭიროა არსებობდეს ინსტრუქცია საგადასახადო კონტროლის პროცედურების ჩატარების წესის შესახებ.

30. პროექტი ითვალისწინებს 108-ე მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას. ამ მუხლის მოქმედი რედაქციის შესაბამისად საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენა. საკონტროლო შესყიდვის მიზანი ამავედროულად უნდა იყოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პროექტით მე-3 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის ან/და საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების პროცედურის განხორციელებისას გამოდის როგორც ფსევდომომხმარებელი და ამ მიზნით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის უფროსის/მოადგილის ან რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის გადაწყვეტილებით შესაძლებელია საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირზე გადასახადის გადამხდელის ან/და დღგ-ის გადამხდელის ფსევდომოწმობების გაცემა.

მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის ან/და საკონტროლო შესყიდვის შეთავაზების განხორციელებისას გამოიყენოს პროცედურის დაფიქსირების ტექნიკური საშუალებები.

მე-6 ნაწილით დაზუსტებულია, რომ თუ საკონტროლო შესყიდვით შესყიდული საქონელი არ ტოვებს სავაჭრო ობიექტის ტერიტორიას და მისი სახე და შეფუთვა არ დაზიანებულია და გამყიდველმა უარი განაცხადა საქონლის დაბრუნებაზე, მასზე გავრცელდება საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის შესრულების ღონისძიებები.

31. პროექტის შესაბამისად 110-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის პირველ ნაწილში განისაზღვრა საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ვადა 2 დღით, რათა ინვენტარიზაცია ჩატარდეს გონივრულ ვადებში, ასევე დაემატა, რომ საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში საინვენტარიზაციო კომისიაში უნდა შევიდნენ საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები ან/და მათ მიერ მოწვეული სპეციალისტები. ამავე დროს განისაზღვრა, რომ საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანებით თავად შექმნას საინვენტარიზაციო კომისია და განსაზღვროს მისი შემადგენლობა. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე გადასახადის გადამხდელის ხელმძღვანელის (დირექტორის) მიერ ბრძანების გამოუცემლობისას, გამოსცეს საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ბრძანება და საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს გადამხდელის წარმომადგენლის შეყვანა.

32. 110¹ მუხლში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც საგადასახადო ინსპექცია შეცვლილია საგადასახადო ორგანოთი.

33. პროექტით 113-ე მუხლის მე-9 ნაწილში შესატანი ცვლილების საფუძველზე საგადასახადო შემოწმების ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანების გამოცემის უფლება აქვს არა მხოლოდ საგადასახადო ორგანოს უფროსს, როგორც მოქმედ რედაქციაშია, არამედ მის მოადგილესაც.

ემატება მე-12 ნაწილი, რომლის მიხედვითაც თუ დაწყებული საგადასახადო შემოწმების გაგრძელება ვერ ხერხდება დაუძლეველი ძალის, ექსპერტის დასკვნის ან სხვა ხელისშემშლელი გარემოების გამო საგადასახადო ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა დროებით შეაჩეროს შემოწმება იმ გარემოებების აღმოფხვრამდე, რომელიც გახდა შემოწმების შეჩერების საფუძველი. ამასთან, საგადასახადო შემოწმების შეჩერების პერიოდში ჩერდება შემოწმების ვადის დინებაც და განახლების შემდეგ შემოწმება გრძელდება იმ ვადით რა ვადაც დარჩენილი იყო შეჩერების მომენტში შემოწმების დასრულებამდე.

34. 116-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში გასვლითი საგადასახადო შემოწმების დროს ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევას, ცვლილებით ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს ზოგადად, ადმინისტრირების დონისძიებების გატარების შემთხვევაში ანუ ნებისმიერ შემთხვევაში.

35. 119-ე მუხლის პირველ და მე-4 ნაწილებში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც საგადასახადო ინსპექცია შეცვლილია საგადასახადო ორგანოთი.

36. 120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილებით ამოღებულია სიტყვა „საურავების“.

37. 122-ე მუხლის მე-2 ნაწილს ემატება „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასცეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სტატისტიკის დეპარტამენტს – საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების მინისტრების ერთობლივი ბრძანების შესაბამისად.

38. 123-ე მუხლში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც სიტყვები „გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი“ შეცვლილია ტერმინით „პირი“, რადგან საგადასახადო კოდექსით „პირის“ ცნება მოიცავს საწარმოებს/ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს, აგრეთვე საგადასახადო აგენტებს.

39. 124-ე მუხლს ემატება მე-2¹ ნაწილი, ანუ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოქმედი რედაქციის 132-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებების რედაქციულად დახვეწა და გადმოტანა. აღნიშნული მისაღებია, ვინაიდან თავისი არსით 124-ე მუხლი მოიცავს სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზოგად დებულებებს, რომელიც პირს ეკისრება ამ კოდექსის XVIII თავით, მათ შორის 132-ე მუხლით (გადასახადების შემცირებისათვის) განსაზღვრული ქმედებებისათვის. ამდენად, პროექტით დაზუსტდა, რომ დეკლარაციის/გაანგარიშების მიხედვით არასწორად ნაჩვენები ინფორმაციის გამო ჯარიმა არ დაეკისრება პირს იმ შემთხვევაში თუ საგადასახადო ორგანოს წარუდგინა შესწორებული დეკლარაცია/გაანგარიშება საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების/შეტყობინების ჩაბარებამდე ან ამ საგადასახადო სამართალდარღვევაზე ოქმის შედგენამდე.

40. 125-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ, პირველი და მე-2 ნაწილები რედაქციულად დახვეწილია, ამასთან, მე-2 ნაწილში სიტყვები „არავის არ შეიძლება დაეკისროს“ შეცვლილია სიტყვებით „პირს არ შეიძლება დაეკისროს“.

მუხლში ასევე შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც საწარმო/ორგანიზაციის ან/და გადამხდელი/საგადასახადო აგენტის ნაცვლად ყველგან გამოყენებულია ტერმინი „პირი“.

უქმდება დებულება, რომლის შესაბამისადაც მემკვიდრე (უფლებამონაცვლე) პასუხისმგებელია გადასახდის გადახდის გადამხდელისათვის დაკისრებული სანქციებისათვის, თუ მან მიიღო სამკვიდრო.

მე-5 ნაწილის სახით ემატება დებულება, რომლის მიხედვითაც საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის გავრცელების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

პროექტით შემოდის დაუძლეველი ძალის დეფინიცია, რომლითაც განისაზღვრა, რომ საგადასახადო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის პირობების მოქმედების შედეგად. დაუძლეველი ძალის პირობად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის: სტიქიური უბედურებები, საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, მასობრივი არეულობა, გაფიცვა და სხვა ამგვარი მოვლენები (მე-6 და მე-7 ნაწილები).

41. 126-ე მუხლის მე-3 ნაწილში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომელშიც სიტყვები „საგადასახადო სამართალდარღვევათა ერთობლიობისას“ იცვლება სიტყვებით „რამდენიმე საგადასახადო სამართალდარღვის გამოვლენისას“.

42. პროექტის შესაბამისად 127-ე მუხლი სტილისტურად და ტექნიკურად დახვეწილია. ოპტიმალურადაა ჩამოყალიბებული დადგენილი საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცედურა. მე-2 ნაწილში, არსებული რედაქციისაგან განსხვავებით უფრო ზუსტად და სწორადაა განსაზღვრული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში შესატანი რეკვიზიტები. აქცენტი გადატანილია არა მოქმედების დაწყება ან დამთავრებაზე, როგორც მოქმედ რედაქციაშია, არამედ სამართალდარღვევაზე, რადგან ოქმი დგება საგადასახადო სამართალდარღვევაზე. მაგალითად, ოქმში ნაცვლად მოქმედების ჩატარების ადგილისა, თარიღისა, მოქმედების დაწყებისა და დასრულების დროისა მიეთითება ოქმის შედგენის თარიღი და დრო. ამასთან, არსებული რედაქციისგან განსხვავებით, ოქმში ფიქსირდება საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი. მე-4 ნაწილში განსაზღვრულია, რომ თუ ჯარიმის დარიცხვისთვის საჭიროა გაანგარიშება, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი პირი ადგენს ცნობას ჯარიმის თანხის გამოანგარიშების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს. ამ მუხლში განხორციელებული ცვლილებით ასევე დაშვებულ იქნა, რომ თუ სამართალდარღვევის ოქმში არ არის ასახული სავალდებულო რომელიმე რეკვიზიტი, სამართალდარღვევის საქმის წარმოება წყდება და ამ შემთხვევაში პირს სანქცია არ დაეკისრება, რაც გადამხდელისათვის წარმოადგენს დადებით მომენტს.

43. 129-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებში შეტანილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება. კერძოდ, პირველ ნაწილში სიტყვები „გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი“ შეცვლილია ტერმინით „პირი“.

მე-4 ნაწილში შესატანი ცვლილება აზუსტებს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით კომერციული ბანკისათვის საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევიდან შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკს, ამ რეჟიმების დაწყებამდე არსებულ ვადაგადაცხადებულ საგადასახადო დავალიანებებზე, საურავი არ დაერიცხება.

მე-5 ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც დაზუსტებულია, რომ გადამხდელს საურავი ერიცხება კალენდარული დღეების მიხედვით.

ამასთან, პროექტი ითვალისწინებს მე-6 ნაწილის დამატებას, რომლის შესაბამისადაც, გადამხდელს იმ გადასახადების დარიცხვის ვალდებულებაზე, რომელთა გაანგარიშებაც აკისრია საგადასახადო ორგანოს, საურავი დაერიცხება „საგადასახადო მოთხოვნის“ ჩაბარების დღის მომდევნო კალენდარული დღიდან.

44. 130-ე მუხლი ითვალისწინებს ჯარიმის დაწესებას საგადასახადო ორგანოებში სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დარღვევაზე. სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დარღვევა არ უნდა იყოს საგადასახადო კოდექსით რეგულირებადი ნორმა. პროექტის შესაბამისად, შემოთავაზებულია პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად საგადასახადო აღრიცხვის წესის დარღვევაზე.

45. პროექტის შესაბამისად, 131-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით. გარდა იმისა, რომ შემოთავაზებული ცვლილებით სანქცია ვრცელდება პირის მიერ საგადასახადო ორგანოებში საგადასახადო გაანგარიშების წარდგენისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევაზე, მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, განსაზღვრულია ჯარიმის ოდენობის ზედა ზღვარი და დგინდება, რომ მთელ დაგვიანებულ პერიოდზე გამოანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 60 პროცენტს

46. პროექტის შესაბამისად, 132-ე მუხლში შესატანი ცვლილებით ჯარიმა განისაზღვრება არა საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის ფიქსირებულ ოდენობამდე შემცირებისათვის (მაგალითად 15000, 25000 და 25000 ლარის ან მეტი ოდენობით შემცირება), არამედ გადასახადის თანხის პროცენტული ოდენობებით შემცირებისათვის (გადასახადის თანხის 50%-მდე და 50%-ზე მეტი ოდენობით შემცირება).

47. პროექტი ითვალისწინებს 133-ე მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რაც განპირობებულია იმით, რომ საბუღალტრო აღრიცხვის წესების დარღვევა არ უნდა წარმოადგენდეს საგადასახადო ორგანოს კონტროლის ობიექტს. საგადასახადო ორგანოს ყურადღება ძირითადად გადატანილ უნდა იყოს გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე. იმავედროულად, პროექტით შემოთავაზებულია ჯარიმის დაწესება (კუთვნილი გადასახდელი თანხის 100%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა) მხოლოდ სათამაშო ბიზნესის საქმიანობის მოსაკრებლის გადახდის წესის დარღვევისათვის, კერძოდ, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის და ობიექტის დალუქვის გარეშე საქმიანობისათვის.

48. პროექტის შესაბამისად, 134-ე მუხლის ახალი რედაქციით საგადასახადო აგენტის ფუნქციის არასათანადოდ შესრულებისათვის საგადასახადო პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ საგადასახადო აგენტს და არა მის რომელიმე თანამდებობის პირს.

49. 135-ე მუხლში, მუხლის მოქმედი რედაქციით სანქცია ვრცელდება მხოლოდ დათვალიერების პროცედურის ხელის შეშლაზე. ამ მუხლის ახალი რედაქციით კი პასუხისმგებლობა წესდება საგადასახადო კონტროლის ასევე სხვა ფორმების განხორციელებისას გადამხდელის მიერ საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილი თანამდებობის პირისთვის ხელის შეშლაზე. ამასთან, ჯარიმა წესდება საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენიდან თორმეტი თვის განმავლობაში ჩადენილ განმეორებით ქმედებაზე და განისაზღვრება ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1000 ლარის ოდენობით.“.

50. 136-ე მუხლში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ ცვლილებით მოქმედ რედაქციაში ჩამატებულია სიტყვები „პირის მიერ“.

51. პროექტით 137-ე მუხლი ჩამოყალიბებულია ახალი რედაქციით და ითვალისწინებს პასუხისმგებლობას და შესაბამისად პირის დაჯარიმებას საგადასახადო ორგანოს მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით მოთხოვნის შემთხვევაში კონკრეტულად სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული (არა ნებისმიერი) ინფორმაციის, აგრეთვე ქონების ნუსხის მითითებულ ვადაში წარუდგენლობისათვის.

52. პროექტით 138-ე მუხლში შემოთავაზებული ცვლილებით დაზუსტდა და განისაზღვრა ის ოპერაციები რომლის შედეგადაც შესაძლებელია უკანონო ჩათვლის განხორციელება. კერძოდ, სანქცია ვრცელდება, მხოლოდ უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების შედეგად, პირის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანაგარიშ-ფაქტურით ან ყალბი საგადასახადო ანაგარიშ-ფაქტურით/საბაჟო დეკლარაციით ჩათვლის განხორციელებაზე.

53. პროექტით, 140-ე მუხლში შევიდა რედაქციული ხასიათის ცვლილებები. ქვეპუნქტები „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ჩამოყალიბდა „1“, „2“, „3“ და „4“ ნაწილებად. ამასთან, ახალ რედაქციის „ბ“ ქვეპუნქტში ძველისგან განსხვავებით დაკონკრეტდა, რომ საგადასახადო ანაგარიშ-ფაქტურის შევსების დადგენილი წესის დარღვევაზე დაკისრებული ჯარიმა ეხება ანაგარიშ-ფაქტურის გამომწერ პირს (ნაწილი 2), „გ“ ქვეპუნქტში - მყიდველის მოთხოვნისას მისთვის საგადასახადო ანაგარიშ-ფაქტურის გაუცემლობაზე დაკისრებული ჯარიმა – საქონლის/მომსახურების მიმწოდებელ პირს (ნაწილი 3). ასევე რედაქციულად დაიხვეწა „დ“ ქვეპუნქტი (ნაწილი 4). ამასთან, დაემატა მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობას დაექვემდებარა ასევე ის პირი, რომელმაც გადასცა ან/და გამოწერა ანაგარიშ-ფაქტურა ფიქტიურ გარიგებაზე ან უსაქონლო ოპერაციაზე.

54. პროექტით 142¹-ე მუხლში ცვლილება შედის მე-18 მუხლის „პ“ ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე და შესაბამისად პროექტით საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური ოპერაციების განხორციელების ან/და ფინანსური მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის ერთობლივი შემოსავლის 10%-ზე გადამეტება იწვევს დაჯარიმებას.

55. პროექტი გულისხმობს 142²-ე მუხლის დამატებას და შესაბამისად კოდექსის 168-ე, 172-ე, 195-ე და 196-ე მუხლების დებულებების გათვალისწინებით საფონდო ბირჟისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებისათვის, იწვევს ემიტენტის დაჯარიმებას არასწორი ინფორმაციის საფუძველზე პირის მიერ ზემოაღნიშნული მუხლების დებულებების გამოყენებით მიღებული საგადასახადო შეღავათის თანხის 150 პროცენტის ოდენობით.

56. 143-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით, პირველი ნაწილი რედაქციულად დახვეწილია. ამოღებულია მითითება, რომლის მიხედვით დაყადაღების, დაჯარიმების და შენახვის პროცედურები და ვადები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, რომ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე გამოვლენილი საქონელი, ჩაითვლება აღურიცხველად და პირი ჯარიმდება აღმოჩენის მომენტში ამ საქონლის საბაზრო ღირებულების ოდენობით, დღ-ის გარეშე (აქციზურ საქონელზე აქციზისა და დღ-ის გარეშე).

მე-3 ნაწილი განსაზღვრავს ზედნადებში მისაითებელ რეკვიზიტებს. პროექტით ხდება რეკვიზიტების ჩამონათვალის ოპტიმიზაცია და შესაბამისად შემცირება.

57. 146-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-8 ნაწილებში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია „პირით“.

ამასთან, მე-8 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში შესული ცვლილება რედაქციული ხასიათისაა, რომლის მიხედვითაც ზუსტდება, რომ თუ შემოსავლების სამსახურის

ან საბჭოს მიერ პირის მიმართ უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, იმავე პირის საჩივრი მათ მიერ ხელახლა აღარ განიხილება, ხოლო მე-11 ნაწილში შეტანილი დამატებითი ზუსტდება ის დოკუმენტები, რომელთა არ არსებობის შემთხვევაში საჩივარი ითვლება არასრულყოფილად, რაც წარმოადგენს საჩივარის შეჩერების საფუძველს.

ამასთან, პირველ და მე-2 ნაწილებში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირით“.

58. 147-ე მუხლის მე-2, მე-5 და მე-6 ნაწილებში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია „პირით“.

59. 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებში შეტანილი ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა. ამოღებულია სიტყვა „მისამართი“, რადგანაც საჩივარში უფლებამოსილი პირის და გადაწყვეტილების გამომცემი საგადასახადო ორგანოს დასახელების მითითება სავსებით საკმარისია. ამასთან, „გ“ ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილებით მომჩივანი ვალდებულია საჩივარში მიუთითოს მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღი და არა ზოგადად მიღების თარიღი, როგორც მოქმედ რედაქციაშია. მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში შედის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც გადამხდელმა „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულებაზე უარის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მიღების (ჩაბარების) თარიღი, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით და არა მხოლოდ მიღების თარიღით.

ამასთან, მე-2, მე-5 და მე-6 ნაწილებში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

60. 150-ე მუხლში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, კერძოდ ყველგან სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

61. 151-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, კერძოდ ყველგან სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

62. 152-ე მუხლის მოქმედი რედაქციით საგადასახადო ორგანოსაგან შესაგებლის გასაჩივრებისათვის დადგენილია ძალზედ მცირე ვადა – 5 დღე, პროექტით შემოთავაზებულია აღნიშნული ვადის 20 დღემდე გაზრდა.

ამასთან მუხლის დასახელებასა და ნაწილებში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც სათაურსა და ნაწილებში სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

63. 153-ე მუხლის მე-2 ნაწილში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

64. 154-ე მუხლის დასახელებასა და ნაწილებში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

65. 155-ე მუხლის სათაურსა და ნაწილებში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

66. 156-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციით. თუ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური დაასკვნის, რომ სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები, იგი უფლებამოსილია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემ საგადასახადო ორგანოს დაავალოს, განმეორებით განიხილოს და შეისწავლოს მხოლოდ სადავო საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ ვადაში. შემოთავაზებული ცვლილება აკონკრეტებს, რომ ვადის გაგრძელება შეიძლება სამჯერ, ვადის თითოეული გაგრძელებისას – არა უმეტეს 15 სამუშაო დღით, რათა არ მოხდეს ვადის გაგრძელება დროში.

მე-7 და მე-8 ნაწილებში რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

67. 157-ე მუხლის სათაურსა და ნაწილებში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

68. 158-ე მუხლის მე-2 ნაწილში შესატანი ცვლილება გამოწვეულია საბჭოს უფლებამოსილების გაზრდის აუცილებლობიდან გამომდინარე. შესაბამისად პროექტით ნაცვლად ზოგადი ჩანაწერი „შესაძლებელია ჩატარდეს მოსამზადებელი სხდომა/სხდომები“ შეიცვალა ჩანაწერით, რომლითაც საბჭოს აპარატს უფლება ეძლევა ჩაატაროს მოსამზადებელი სხდომა.

69. 160-ე მუხლის მე-3 ნაწილში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

70. 161-ე მუხლში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც სიტყვები „გადასახადის გადამხდელმა/საგადასახადო აგენტმა ან სხვა ვალდებულმა პირმა“ შეცვლილია სიტყვით „პირი“.

71. 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი გამოიწვლია „ვ“ (აქტივების რეალიზაციის შედეგად მიღებული ნამეტი შემოსავალი) და „ვ“ (საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი) ქვეპუნქტებად და შესაბამისად ყალიბდება ახალი რედაქციით. ახალი რედაქცია უფრო ზუსტად განსაზღვრავს შეღავათს აქტივების სახეების მიხედვით. ამასთან, ცვლილებით, საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ 4 წლის განმავლობაში არა უმეტეს 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი, ანუ მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით აღარ მოქმედებს საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 2 წლიანი ვადის შეზღუდვა.

„პ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილება გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან.

პროექტი გულისხმობს 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „რ“ ქვეპუნქტში დამატების შეტანას და შესაბამისად თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის განსაზღვრის ვადად განისაზღვრება – საანგარიშოს წინა წლის 31 დეკემბრისა და საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანუ, აღნიშნულის შესაბამისად, თუ თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25%-ს ზემოაღნიშნული პერიოდის მდგომარეობით, საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

ცვლილებით მე-4 ნაწილს ემატება, რომ გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე ფიზიკურ პირს შეღავათის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ ერთი (ძირითადი) სამუშაო ადგილიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით, გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით

დაქირავებული პირი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დამქირავებელს წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა. ამასთან, პროექტით ერთზე მეტი სამუშაო ადგილის შემთხვევაში გადახდის წყაროს, სადაც უნდა გაგრძელდეს შეღავათი, განსაზღვრავს დაქირავებული.

72. 172-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილებით მოგების გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებას დაექვემდებარა ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან ან/და საქართველოს არარეზიდენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ მიღებული მოგება. ამასთან ემატება „რ“ ქვეპუნქტი და შესაბამისად მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება საინვესტიციო ფონდის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდებით ან/და ფინანსური ოპერაციებიდან ან/და ფინანსური მომსახურებიდან მიღებული მოგება, იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ფონდი საერთაშორისო ფინანსურ კომპანიას წარმოადგენს. ამდენად პროექტი გულისხმობს საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიმართ გარკვეული შეღავათების განსაზღვრას.

პროექტი ასევე გულისხმობს 172-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში დამატების შეტანას და შესაბამისად თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის განსაზღვრის ვადად განისაზღვრება – საანგარიშოს წინა წლის 31 დეკემბრისა და საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანუ, აღნიშნულის შესაბამისად, თუ საფონდო ბირჟისათვის ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25%-ს ზემოაღნიშნული პერიოდის მდგომარეობით, საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული მოგება, რომელიც სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟის ლისტინგში, თავისუფლდება მოგების გადასახადებისაგან.

73. 173-ე მუხლს ემატება მე-4 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც ერთობლივ შემოსავალს არ განეკუთვნება შეზღუდული ფასიანი ქაღალდების პირისათვის გადაცემა, ვინაიდან, შეზღუდული ფასიანი ქაღალდის გადაცემა, მანამ სანამ მას ასეთი სტატუსი გააჩნია არ წარმოქმნის შემოსავალს.

74. 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სარგებლის ღირებულებად ითვლება დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა. ამასთან, დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის შეიძლება ანაზღაურდეს საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილება შედის „თ“ ქვეპუნქტში.

80. 175-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით, რაც გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან. გარდა იმისა, რომ ოპტიმალურადაა ჩამოყალიბებული თუ რა მიეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს. აქვე დაკონკრეტებულია, რომ მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას, მიმწოდებელი პირისთვის ოპერაციით მიღებულ შემოსავლად განისაზღვრება ამ მომსახურების ა საბაზრო ფასი.

81. 176-ე მუხლის პირველ ნაწილზე „ბ“ ქვეპუნქტის დამატების განხორციელება განპირობებულია იმით, რომ სადაზღვევო კომპანიები მათ მიერ დაზღვეულ ფიზიკურ პირებს უნაზღაურებს ან აწვდის გაცილებით მეტი თანხის მომსახურებას ვიდრე დამზღვევმა განხორციელა სადაზღვევო შენატანის (სადაზღვევო პრემიის) სახით. შესაბამისად, პრობლემატურია საკითხი უნდა ჩაითვალოს თუ არა დაზღვეულისათვის სარგებლად სხვაობა, რომელიც წარმოიშობა მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის გადახდილ სადაზღვევო

შენატანსა (სადაზღვევო პრემია) და გაწეულ მომსახურებზე დახარჯულ თანხებს შორის. შესაბამისად, პროექტით შესატანი დამატებით კონკრეტდება, რომ მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება არ განიხილება სარგებლად და შესაბამისად არც დაბეგვრის ობიექტად.

82. 177-ე მუხლის მოქმედი რედაქცია ყალიბდება პირველ ნაწილად, ხოლო შეტანილი ცვლილებით ზუსტდება, რომ ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, ნაცვლად ზოგადად ხარჯისა, როგორც მოქმედ რედაქციაშია. ამასთან, ვინაიდან 173-ე მუხლში შემოთავაზებული ცვლილებით ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება შეზღუდული ფასიანი ქაღალდების პირისათვის გადაცემა, ამიტომ პირველ ნაწილს ემატება „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც შეზღუდული ფასიანი ქაღალდების პირისათვის გადაცემა არ წარმოადგენს ხარჯს.

ემატება მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც გადასახადის გადამხდელს უფლება ეძლევა მოახდინოს მისთვის საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდების შედეგად წარმოშობილი სარგებლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვა ამ კოდექსით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით.

ემატება მე-3 ნაწილი და შესაბამისად განისაზღვრება, რომ საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირის მიერ აქტივის რეალიზაციით მიღებული ზარალის კომპენსაცია ხდება იგივე სახის აქტივის რეალიზაციით მიღებული ღირებულების ნამეტით. ამასთან, თუ ზარალის კომპენსაცია შეუძლებელია იმავე წელს, არ ხდება ასეთი ზარალის მომდევნო წელს გადატანა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ კოდექსით განსაზღვრული არ არის ფიზიკური პირის მიერ აქტივის რეალიზაციით მიღებული ზარალის აღიარების პირობები. ამასთან, პროექტი გულისხმობს აღნიშნულის ამოქმედებას 2012 წლიდან.

83. 178-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილება გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან. მოქმედი რედაქციით ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება მოგების გადასახადისა ან საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები. ანალოგიურად გამოიქვითვას არ უნდა ექვემდებარებოდეს იმ საქონლის გადაცემასთან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც არ ითვლება საქონლის/მომსახურების მიწოდებად. მაგრამ ეს შეზღუდვა არ უნდა მოქმედებდეს იმ საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებაზე, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის არ წარმოადგენს საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევას, მაგალითად, სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გადაცემა, რათა არ დადგეს, უსასყიდლოდ მიწოდებულ აქტივზე უკვე გამოქვითული ხარჯის (ამორტიზაციის დანარიცხის სახით) ისევ შემოსავლად აღიარების მომენტი.

84. 183-ე მუხლის მე-2 ნაწილში შედის დამატება, კერძოდ, ვინაიდან ბიოლოგიური აქტივის საბალანსო ღირებულების განსაზღვრა რთულია, ამ ქვეპუნქტს ემატება და შესაბამისად მიეთითება, რომ ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯების გამოქვითვა უნდა მოხდეს იმ საანგარიშო წელს როცა მოხდა მისი ფაქტობრივად გაწევა.

მე-6 ნაწილის თანახმად ჯგუფის ღირებულების ბალანსის განსაზღვრის მოქმედი ნორმა არ ითვალისწინებს ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის შემცირებას ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების ღირებულებით. ამდენად, პროექტი გულისხმობს დამატებას ლიზინგით გაცემული ძირითადი საშუალების დისკონტირებული ღირებულებით შემცირების თაობაზე.

183-ე მუხლის მე-14 შეტანილი ცვლილებით ძირითად საშუალებებთან მიმართებით ზუსტდება, რომ საუბარია შესყიდულ, ლიზინგით მიღებულ ან

გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოებულ ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს და არა ზოგადად შესყიდულ ძირითად საშუალებებზე. ამასთან ემატება დებულება, რომლის მიხედვითაც 100%-იანი გამოქვითვის ნორმის არჩევა უნდა განხორციელდეს იმ საგადასახადო წელს, რომელშიც ძირითადი საშუალება ექსპლუატაციაში შევიდა.

85. 184-ე მუხლის პირველ ნაწილში შესატანი ცვლილება გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან. 183-ე მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით პირს უფლება ეძლევა შექმნილი ძირითადი საშუალების ღირებულება (ლიზინგის შემთხვევაში დისკონტირებული ღირებულება) სრულად გამოქვითოს იმ საგადასახადო წელს, რომელშიც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა, თუმცა არ კონკრეტდება, ამ შემთხვევაში როგორ ხდება რემონტის ხარჯების გამოქვითვა. აღნიშნული ხარვეზი სწორდება 184-ე მუხლის მე-2 ნაწილში შეტანილი დამატებით შესატანი ცვლილებით, რომლის შესაბამისადაც პირს საშუალება ეძლევა სრულად გამოქვითოს რემონტის ხარჯი.

ამავდროულად, მუხლს ემატება მე-3 ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს რემონტის ხარჯების გამოქვითვის მექანიზმს იჯარის (გარდა ლიზინგისა) შემთხვევაში.

86. 187-ე მუხლში შესატანი ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა, კერძოდ კონკრეტდება, რომ ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას არ ექვემდებარება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე დაზღვეულის მიერ გადახდილი მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის შენატანები და არა ზოგადად საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით გადახდილი სადაზღვევო შენატანები, როგორც მოქმედ რედაქციაშია.

87. 192-ე მუხლის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირების მიმართ ზარალის გადატანას 5 წლამდე ვადით და დაფარვას მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლების ხარჯზე. აღნიშნული ნორმის გამოყენება აზრს კარგავს, რადგან ზარალის მომავალი პერიოდის ერთობლივი შემოსავლის ხარჯზე გამოქვითვით გადამხდელს ყოველ მომავალ წელს წარმოექმნება ახლი ზარალი წინა წლის წარალის ხარჯზე. ამდენად, პროექტი გულისმობს ცვლილების შეტანას, რომლის თანახმად მეწარმე ფიზიკური პირების მიერ ზარალი დაფარება დასაბეგრი შემოსავლის ხარჯზე, ხოლო იურიდიული პირების მიერ დასაბეგრი მოგების ხარჯზე.

88. 192¹ მუხლის პირველ ნაწილში გამოკვეთილი არ არის რომელ საგადასახადო პერიოდში გადახდილი საგადასახადის ჩათვლა შეიძლება, ანუ გასული წლებში გადახდილი საგადასახადების ჩათვლა დაიშვება თუ არა მომდევნო საგადასახადო წლებში. ცვლილებით კონკრეტდება, რომ გადახდილი მოგების საგადასახადის თანხები ჩაითვლება შესაბამისი წლისათვის საქართველოში საგადასახადის გადახდისას, ანუ იმ საგადასახადო წლისათვის, რომელშიც საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაიხადა მოგების გადასახადი.

89. 195-ე მუხლის მე-5 ნაწილში დამატების შეტანით თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის განსაზღვრის ვადად განისაზღვრება – საანგარიშოს წინა წლის 31 დეკემბრისა და საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის მდგომარეობით, თუ თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25%-ს საჯარო ფასიანი ქაღალდიდან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

პროექტით 195-ე მუხლს ემატება მე-6 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც კონკრეტდება, რომ საქართველოს საწარმოს მიერ სახელმწიფოსათვის გადახდილი დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.

90. 196-ე მუხლის მე-4 ნაწილში შესატანი ცვლილება რედაქციული ხასიათისაა, კერძოდ ნაწილიდან ამოღებულია სიტყვა „ადრე“, რითაც ზუსტდება, რომ ნაწილის დებულება ეხება ზოგადად დაბეგრულ პროცენტებს.

მე-5 ნაწილში შედის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და პროცენტის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროცენტის მიმღები არ წარმოადგენს ასევე ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს.

მე-6 ნაწილში დამატების შეტანით თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის განსაზღვრის ვადად განისაზღვრება – საანგარიშოს წინა წლის 31 დეკემბრისა და საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის მდგომარეობით, თუ თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი აღემატება 25%-ს, საჯარო ფასიანი ქაღალდიდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და პროცენტის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

ემატება მე-7 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც საქართველოს საწარმოს მიერ სახელმწიფოსათვის გადახდილი პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.

91. 199-ე მუხლის მე-6 ნაწილში შესატანი ცვლილება გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან.

92. 211-ე მუხლის პირველ ნაწილის მოქმედი რედაქციით აქტივების ღირებულებაში არ შეიტანება გადახდილი მოსაკრებლები და საბაჟო გადასახადი. შედეგად, გადამხდელებს აქტივების მიწოდებისას (გარდა ძირითადი საშუალებებისა) ხელოვნურად ეზრდებათ დასაბეგრი მოგება (შემოსავალი). შესაბამისად, პროექტი ითვალისწინებს 211-ე მუხლის პირველი ნაწილიდან სიტყვების „გარდა გადახდილი მოსაკრებლისა ან/და საბაჟო გადასახადისა“ ამოღებას, რითაც სწორდება ზემოაღნიშნული ხარვეზი. დაბეგვრისა და საამორტიზაციო ანარიცხის გამოქვითვის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა განისაზღვროს იმ აქტივის ღირებულება, რომელიც პირმა მიიღო უსასყიდლოდ. პროექტით ასეთი აქტივის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით.

93. 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში შესატანი ცვლილება რედაქციული ხასიათისაა. კერძოდ, იკითხება ტექსტი „ამ კოდექსის XXVIII თავის შესაბამისად“, რომელიც არ შეესაბამება მის შინაარსს. უნდა იკითხებოდეს „ამ კოდექსის XXV თავის შესაბამისად“.

94. 215-ე მუხლის მე-10 ნაწილში შესატანი ცვლილება რედაქციული ხასიათისაა. კერძოდ სწორდება, რომ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქტივებზე, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას „ამ კოდექსის XXV თავის შესაბამისად“.

95. 217-ე მუხლის მე-6 ნაწილში შესატანი ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა, ვინაიდან 197-ე მუხლი ითვალისწინებს არარეზიდენტთა შემოსავლების დაბეგვრას, ანუ გარკვეული თანხების დაკავებას და არა „გამოქვითვას“ გადახდის წყაროსთან. ამდენად სიტყვა „გამოსაქვით თანხას“ იცვლება სიტყვით „დაკავებულ თანხას“.

მე-7 ნაწილის არსებული რედაქცია შესაბამისობაშია მოსაყვანი სხვა გადასახადების მიხედვით გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წარდგენისათვის დადგენილ ვადებთან, ამდენად, პროექტით სიტყვები „15 რიცხვისათვის“ იცვლება ჩანაწერით „არა უგვიანეს 15 რიცხვისა“.

ამავე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილების მოქმედი რედაქციით უძრავი ნივთის საჩუქრად მიღებისას საგადასახადო ინსპექციიდან აღებული ცნობის მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენის ვალდებულება გაუქმებულია და ამავე დროს არც მარეგისტრირებელია ვალდებული შესაბამის ფიზიკურ პირს აცნობოს

საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულების შესახებ. ამდენად, წარმოიქმნება გაურკვეველობა, ასეთ პირობებში ფიზიკურმა პირმა როგორ უნდა შეასრულოს საგადასახადო ვალდებულება თუკი მისთვის ამის შესახებ უცნობია ან იგივე ფიზიკურმა პირმა რა ვადაში უნდა წარადგინოს დეკლარაცია და გადაიხადოს კუთვნილი გადასახადი. ამიტომ, ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, 217-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილებში შედის შესაბამისი ცვლილება, კერძოდ ამოღებულია სიტყვები „(გარდა უძრავი ნივთის)“.

96. 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის რედაქცია შესაბამისობაშია მოსაყვანი სხვა გადასახადების მიხედვით გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წარდგენისათვის დადგენილ ვადებთან, კერძოდ, პროექტით „15 რიცხვისათვის“ იცვლება ჩანაწერით „არა უგვიანეს 15 რიცხვისა“.

ამ მუხლიდან ამოღებულია მე-5 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მუშაობის შემთხვევაში საგადასახადო აგენტის საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით.

97. საგადასახადო კოდექსში არ არის სათანადო მუხლი, რომელიც ზოგადად დაარეგულირებდა შემთხვევას, თუ რა წესით უნდა გადაიხადოს გადასახადის გადამხდელმა მიმდინარე გადასახდელები იმ საგადასახადო პერიოდისათვის, როდესაც წინა პერიოდთან შედარებით იცვლება გადასახადის განაკვეთი ან პირის საქმიანობაზე გავრცელებას იწყებს (ან პირიქით უქმდება) საგადასახადო შეღავათი. 219-ე მუხლის მე-3 ნაწილში შეტანილი ცვლილებითა და 3¹-ე ნაწილის დამატებით ყალიბდება ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში მიმდინარე გადასახადების გადახდის მექანიზმი.

219-ე მუხლში შემოთავაზებული დამატებით (მე-5 ნაწილი) გადასახადის მიმდინარე გადასახდელების თანხების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

98. 221-ე მუხლის მე-6 ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რაც გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 14 მარტის №5913 კანონით შეტანილი ცვლილებიდან, რომლის შესაბამისადაც გაუქმებულია ცნება „საწესდებო კაპიტალი“, შესაბამისად ამ ნაწილის მოქმედი რედაქციიდან ამოღებულია სიტყვა „საწესდებო“.

99. 222-ე მუხლში შეტანილი ცვლილება აზუსტებს, რომ პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტარდება რეგისტრაციაში, გადასახადის გადამხდელად ითვლება მის მიერ რეგისტრაციის თაობაზე განცხადებაში დაფიქსირებული თარიღიდან, მაგრამ არაუადრეს ნებაყოფლობით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადებით საგადასახადო ორგანოში მიმართვის დღისა.

100. 225-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად არ ითვლება „აქტივების მიწოდება შესატანის სახით სხვა საწარმოს საწესდებო და საემისიო კაპიტალში“ იმის გამო, რომ მუხლში წერია „სხვა საწარმოს“ გამორიცხა ორგანიზაციის, ან ფიზიკური პირის, ან ინდივიდუალური მეწარმის მიერ აღნიშნული ქმედებისას დღგ-საგან გათავისუფლება. ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 14 მარტის №5913 კანონით შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე, მუხლის მოქმედი რედაქციიდან ამოსაღებია სიტყვა „საწესდებო“, შესაბამისად ქვეპუნქტი ყალიბდება ახლებურად, რითაც სწორდება აღნიშნული ხარვეზები.

101. 226-ე მუხლის პირველ ნაწილში შესატანილი დამატებით ერთი ოპერაციის ფარგლებში საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდების მიზნებიდან გამომდინარე (რომელიც არ ითვლება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად) შემოდის დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის განმარტება.

102. პროექტით 228-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია მეორე წინადადება, რომლის შესაბამისადაც კონკრეტდებოდა, რომ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის საგანი უბრუნდება ლიზინგის გამცემს, თუ გათვალისწინებული იყო მისი გამოსყიდვა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ თუ დაირღვა სალიზინგო ხელშეკრულება და ლიზინგის საგანი დაუბრუნდა ლიზინგის გამცემს, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის კორექტირების საჭიროება არ წარმოიშობა. ამდენად, პროექტი ითვალისწინებს აღნიშნულთან მიმართებით წინადადების ამოღებას.

მე-7 ნაწილში შესატანი ცვლილებით ელექტროენერგეტიკულ საწარმოებს („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური საწარმოები) უფლება აქვთ დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება მოახდინონ არა უგვიანეს მიმდინარე საგადასახდო წლის ბოლომდე, ნაცვლად მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში კორექტირების განხორციელებისა, ანუ აღარ აქვთ კორექტირების განხორციელების კონკრეტული ვადა (დეკემბერი), რაც პრაქტიკულად გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა.

103. 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილება გამომდინარეობს მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებიდან, ანუ პროექტით დღგ-საგან გათავისუფლებულია ფინანსური ოპერაციების განხორციელება ან/და ფინანსური მომსახურების გაწევა.

„ბ“ ქვეპუნქტში შედის ტექნიკური ხასითაის ცვლილება, ანუ გულისხმობს სიტყვა „საწესდებო კაპიტალის“ ნაცვლად სიტყვა „საწარმოს კაპიტალის“ შეტანას. აღნიშნული გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 14 მარტის №5913 კანონით შეტანილი ცვლილებიდან, რომელიც ითვალისწინებს ცნება „საწესდებო კაპიტალი“-ს გაუქმებას.

„ზ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ხელშეკრულებით მომსახურების გაწევის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. როგორც პრაქტიკამ აჩვენა წესის არარსებობის პერიოდში გადამხდელებს და საგადასახდო ორგანოებს არსებითი სიძნელეები არ წარმოშობიათ აღნიშნული მუხლით დადგენილი ნორმის გამოყენებისა და მისი ადმინისტრირების საკითხებში. გაურკვეველობები ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია მუხლის არსებული რედაქციის მიზეზით. შესაბამისად პროექტი ითვალისწინებს „ზ“ ქვეპუნქტიდან ზემოაღნიშნული ნორმის ამოღებას.

„ო“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილება გამომდინარეობს მე-13 მუხლში შესატანი ცვლილებიდან, ანუ ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებისაგან.

„საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ ბრიუსელის 1983 წლის 14 ივნისის საერთაშორისო კონვენციის 2007 წლის ვერსიით ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურამ განიცადა გარკვეული ცვლილებები, რაც აისახა საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაში. აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილებები შედის პირველი ნაწილის „ა“, „ფ“, „დ“, „ქ“ და „წ“ ქვეპუნქტებში, რომლებშიც ყველგან სადაც მითითებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა ჩამატებულია სიტყვა ეროვნული და შესაბამისობაშია მოყვანილი სასაქონლო კოდები. ამასთან, „დ“ ქვეპუნქტში დაემატა და შესაბამისად დგინდება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით განისაზღვრება 28-ე, 29-ე ჯგუფებში წარმოდგენილი ნედლეულის, სუბსტანციების და 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქციის (გარდა სადეჭი რეზინისა) მიწოდებისა და იმპორტის გათავისუფლება. ხოლო „ჟ“ ქვეპუნქტში შედის

სტილისტური ხასიათის ცვლილებაც, ანუ ზოგადად განისაზღვრა ყოველგვარი კონკრეტიზაციის გარეშე, რომ განთავისუფლებულია შესაბამის კოდებში აღნიშნული ეტლები და სიტყვების „სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების“ შემდეგ მძიმის დამატებით სწორდება არსებული ტექნიკური შეცდომა, რითაც ზუსტდება, რომ საუბარია სამედიცინი დანიშნულების სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების გათავისუფლებაზე და არა ბუნებაში არარსებული „ტესტ-სისტემების გლუკომეტრების“ გათავისუფლებაზე.

„ც“ ქვეპუნქტში შედის დამატება, რის შესაბამისადაც დგინდება, რომ ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ან/და ბავშვთა პიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად უნდა განისაზღვროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით

პროექტი ითვალისწინებს „ჰ“ ქვეპუნქტის დამატებას, რითაც ზუსტდება, რომ დღგ-ს გადახდისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირის მიერ 4 წლის განმავლობაში არა უმეტეს მის საკუთრებაში არსებული 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის) რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

ემატება „ჰ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც დღგ-ს გადახდისაგან თავისუფლდება საქართველოს საბაჟო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დაბრუნებული საქონლის იმპორტი. ამდენად, საგადასახადო კოდექსი შესაბამისობასი მოდის საბაჟო კოდექსის 171-ე მუხლის დებულებებთან, რომლითაც დადგენილია, რომ დაბრუნებულ საქონელზე არ გადაიხდებიან იმპორტის გადასახდელები (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა).

104. 231-ე მუხლში შესატანი ცვლილებით საქონლის ექსპორტისას ნულოვანი განაკვეთის გამოყენებისათვის გადამხდელს აღარ ევალება საგადასახადო ორგანოში საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვების შესახებ საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, რადგან საქონლის საბაჟო რეჟიმებში მოქცევის არსებული პროცედურების შესაბამისად, საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვებისას საბაჟო დეკლარაციის ერთი ეგზემპლარი რჩება შემოსავლების სამსახურის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექციაში). ამდენად, შემდგომში, დღგ-ის დეკლარაციასთან ერთად, მისი ისევე საგადასახადო ორგანოსათვის ხელახლა წარდგენის საჭიროება აღარ წარმოიშობა.

105. პროექტით 232-ე მუხლის მოქმედი დებულებების მეორე წინადადების ახალი რედაქციით ჩამოყალიბებით კონკრეტდება, რომ დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის დღგ-ის ნულოვანი განაკვეთის გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. ამასთან, დგინდება, რომ თუ რომელიმე უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიმართ გამოიყენება სხვა განსხვავებული (არა ნულოვანი განაკვეთი) დაბეგვრის რეჟიმი, მაშინ საქართველოს მთავრობას უფლება ეძლევა ასეთი ქვეყნების მიმართ დაადგინოს დაბეგვრის ანალოგიური რეჟიმი და ამდენათ, საქართველოში ამ ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობისათვის მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე გამოყენებული იქნება დაბეგვრის ის რეჟიმი, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

106. 241-ე მუხლის:

პირველ ნაწილში შედის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც უკუდაბეგვრის რეჟიმი გავრცელდება ზოგადად გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირზე, რომელშიც მოიაზრება, როგორც არარეზიდენტი ფიზიკური პირი, როგორც

მოქმედ რედაქციაშია, ასევე გადამხდელის მოწმობის არმქონე რეზიდენტი ფიზიკური პირიც.

პირველ ნაწილში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე ცვლილება შედის მე-3 ნაწილში, რომლის შესაბამისადაც პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე და არა არარეზიდენტისათვის გასაცემ თანხაზე, როგორც მოქმედ რედაქციაშია.

მე-4 ნაწილში შეტანილი ცვლილებით ზუსტდება, რომ დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის მიზნით საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი ითვლება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურად და უფლებას აძლევს დღგ-ის გადამხდელს განახორციელოს დღგ-ის ჩათვლა საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის საანგარიშო თვის მიხედვით.

მე-5 ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ შესაბამისობაშია მოყვანილი სხვა გადასახადების მიხედვით გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წარდგენისათვის დადგენილ ვადებთან, რისთვისაც ჩანაწერი „15 რიცხვამდე“ იცვლება ჩანაწერით „არა უგვიანეს 15 რიცხვისა“.

107. 241¹-ე მუხლის პირველ ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ შესაბამისობაშია მოყვანილი სხვა გადასახადების მიხედვით გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წარდგენისათვის დადგენილ ვადებთან, რისთვისაც ჩანაწერი „15 რიცხვამდე“ იცვლება სიტყვებით „არა უგვიანეს 15 რიცხვისა“. ამასთან, პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით იმპორტირებულ საქონელზე დღგ-ის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს. პროექტის შესაბამისად დეკლარანტის სურვილის შემთხვევაში, რათა მას ყოველთვიურად არ მოუხდეს საბანკო დაწესებულებაში სიარული, უფლება ეძლევა მთელი გადასახდელი თანხა გადაიხადოს ერთდროულად.

108. 247-ე მუხლის მე-2 ნაწილის არსებული ჩანაწერი პრობლემას უქმნის ჩათვლის მიმდებ, ვინაიდან შეიძლება ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილი იყოს ვადის დარღვევით რაც ხშირ შემთხვევაში ჩათვლის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი ხდება. გადამხდელის ინტერესებიდან გამომდინარე მე-2 ნაწილიდან ამოღებულია 248-ე მუხლზე დაყრდნობა.

ამ მუხლის მე-3 ნაწილის მოქმედი რედაქციით, თუ დღგ-ის გადამხდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ან/და საბაჟო დეკლარაციების მიხედვით გადახდილი ან/და გადასახდელი დღგ ნაწილობრივ გათვალისწინებულია გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის, ნაწილობრივ კი – სხვა მიზნებისათვის, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა განისაზღვრება მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ან გამოსაყენებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების შესაბამისად. თუ შეუძლებელია ასეთი გამიჯვნა, დღგ-ის ჩათვლა იწარმოებს პროპორციულად. პროექტი ითვალისწინებს ამ ნაწილის ამოღებას, რადგან საკითხს, რომელიც დადგენილია ამ ნაწილით არეგულირებს მე-2 და მე-5 ნაწილის შემოთავაზებული დებულებები.

ამ მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მოქმედ რედაქციაში დღგ-ის ჩათვლა არ წარმოებს იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც არ არის წარმოდგენილი მყიდველის (ჩათვლის მიმღების) მიერ დღგ-ის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს 45 კალენდარული დღისა, პროექტი გულისხმობს 45 კალენდარული დღის 90 კალენდარულ დღედ შეცვლას.

მე-5 და მე-6 ნაწილებში უფრო ზუსტადაა განსაზღვრული ჩასათვლელი დღგ-ის აღსადგენი თანხა იმ საქონელისა/მომსახურების მიწოდებაზე, რომლის მიხედვითაც დღგ-ის გადამხდელმა წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-

ფაქტურების ან/და საბაჟო დეკლარაციის მიხედვით მიიღო დღგ-ის ჩათვლა, გამოყენებული იქნა განთავისუფლებულ ან იმ ოპერაციებში, რომლებიც დღგ-ის მიზნებისათვის არ ითვლება დასაბეგრ ოპერაციად.

109. 248-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციით ჩასათვლელი დღგ-ის თანხა არის გადასახადის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია საქონლის/მომსახურების მომწოდებლის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან არაუგვიანეს 2 დღისა. ეს ჩანაწერი პრობლემას უქმნის გადამხდელს. მან შეიძლება გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ამ ვადის დარღვევით. შესაბამისად, პროექტით შემოთავაზებულია 2-დღიანი ვადის ათვლა დაიწყოს არა საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან, არამედ საქონლის/მომსახურების მიმღების მოთხოვნიდან.

110. 251-ე მუხლის მე-2 ნაწილში შესატანი ცვლილებით დღგ-ის სხვა გადამხდელებს ჩასათვლელი თანხის გადამეტება საანგარიშო პერიოდში დარიცხულ დღგ-ის თანხაზე უბრუნდებათ არა 6 თვის შემდეგ, როგორც მოქმედი რედაქცია გულისხმობს, არამედ 3 თვის შემდეგ. ამდენად, დღგ-ის სხვა გადამხდელებისთვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ვადა მცირდება.

111. 255¹ მუხლის პირველ ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ შესაბამისობაშია მოყვანილი სხვა გადასახადების მიხედვით გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წარდგენისათვის დადგენილ ვადებთან, რისთვისაც „15 რიცხვამდე“ იცვლება ჩანაწერით „არა უგვიანეს 15 რიცხვისა“. ამასთან, პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით იმპორტირებულ აქციზურ საქონელზე აქციზის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს. შემოთავაზებულია დამატება, რომლის შესაბამისადაც დეკლარანტის სურვილის შემთხვევაში მთელი გადასახდელი თანხა შეიძლება გადახდილი იქნას ერთდროულად, რათა მას ყოველთვიურად არ მოუხდეს საბანკო დაწესებულებაში სიარული.

112. „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ ბრიუსელის 1983 წლის 14 ივნისის საერთაშორისო კონვენციის 2007 წლის ვერსიით ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურამ განიცადა გარკვეული ცვლილებები, რაც აისახა საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაში. ამ კოდებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცვლილებები შედის 258-ე მუხლის (აქციზის განაკვეთები) ცხრილის მე-15 და მე-19 სტრიქონებში.

113. 261-ე მუხლის პირველ ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება. კერძოდ, პირველი ნაწილის რედაქცია შესაბამისობაშია მოსაყვანი სხვა გადასახადების მიხედვით გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წარდგენისათვის დადგენილ ვადებთან, რისთვისაც „15 რიცხვამდე“ იცვლება ჩანაწერით „არაუგვიანეს 15 რიცხვისა“.

114. 262-ე მუხლის პირველ ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება. კერძოდ, პირველი ნაწილის რედაქცია შესაბამისობაშია მოსაყვანი სხვა გადასახადების მიხედვით გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წარდგენისათვის დადგენილ ვადებთან, რისთვისაც სიტყვები „საანგარიშო თვის 15 რიცხვამდე“ იცვლება სიტყვებით „არაუგვიანეს საანგარიშო თვის 15 რიცხვისა“.

115. 263-ე მუხლის პირველი ნაწილის საქართველოს საბაჟო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დაბრუნებული საქონელი. პრეამბულაში შეტანილი ცვლილებით აქციზური მარკებით მარკირებას არ ექვემდებარება „ბ“ ქვეკუნქტში შეტანილი დამატებით პირველი ნაწილი შესაბამისობაში მოდის საბაჟო გადასახადთან. კერძოდ, ვინაიდან კოდექსის შესაბამისად საბაჟო გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება ან 50 სიგარას ან 250 გრამი

თამბაქოს ნაწარმის იმპორტი, ამიტომ პროექტით ამ საქონლის იმპორტი თავისუფლდება აქციზური მარკებით მარკირების ვალდებულებისაგან.

მე-6 ნაწილში შეტანილი ცვლილებით პროექტი გულისხმობს, რომ იქ სადაც საუბარია ექვსთვიანი პერიოდის გასვლის შემდგომ აქციზური მარკების დაუბრუნებლობაზე, სიტყვა „იმპორტის“ ამოღებას. ამდენად, სტილისტურად სწორდება და ცალსახად ზუსტდება, რომ აქციზური მარკების დაუბრუნებლობა ჩაითვლება ნიშანდობას დაქვემდებარებული საქონლის ქვეყნის შიგნით მიწოდებად.

116. 265-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილებით იხვეწება და ზუსტდება თამბაქოს ნაწარმის იმპორტისას აქციზის გადასახადისგან გათავისუფლებული თამბაქოს ნაწარმის ჩამონათვალი, კერძოდ, კოდექსის შესაბამისად საბაჟო გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება 50 სიგარას ან 250 გრამი თამბაქოს ნაწარმის იმპორტი. ამიტომ, შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა გათავისუფლდეს აქციზის გადახდისგანაც.

მუხლს ემატება „კ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც აქციზის გადახდისაგან თავისუფლდება საქართველოს საბაჟო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დაბრუნებული აქციზური საქონლის იმპორტი.

117. 270³-ე მუხლის მოქმედი რედაქციის შესაბამისად პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებულია ერთგვაროვანი და ერთი კოდით აღნიშნული საქონლის სახეების, კერძოდ, 0203, 0405 და 0406 და სასაქონლო პოზიციებში აღნიშნული საქონლის, სხვადასხვა საბაჟო გადასახადის განაკვეთით დაბეგვრა, რაც იმპორტის განხორციელებისას გარკვეულად აძნელებს აღნიშნული საქონლის დასაბეგრი განაკვეთის განსაზღვრის პროცესს. წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს ერთი სახის საქონლის კონკრეტული განაკვეთით დაბეგვრას, ეს კი მნიშვნელოვნად გაამარტივებს საბაჟო პროცედურებს და გააადვილებს ზემოაღნიშნული კოდების საქონლის საბაჟო გადასახადის განაკვეთის განსაზღვრას. ამასთან, გადამხდელებს გაუადვილებათ ზემონახსენები კოდის საქონლის იპორტის განხორციელებისას საბაჟო პროცედურების გავლა, რადგან გამოირიცხება საქონლისათვის შესაბამისი კოდების მინიჭებისა და გადასახადის განაკვეთის დადგენისას შეცდომების დაშვება ან სუბიექტური მიდგომა.

„საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ ბრიუსელის 1983 წლის 14 ივნისის საერთაშორისო კონვენციის 2007 წლის ვერსიით ჰარმონიზებული სისტემის ნომენკლატურამ განიცადა გარკვეული ცვლილებები, რაც აისახა საქართველოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურაში. შესაბამისად, პირველი და მე-2 ნაწილის ცხრილში მოცემული კოდები შესაბამისობაშია მოყვანილი აღნიშნულ ნომენკლატურასთან.

მე-4 ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება. კერძოდ, ნაწილის რედაქცია შესაბამისობაშია მოსაყვანი სხვა გადასახადების მიხედვით გადასახადის გადახდისა და ანგარიშების წარდგენისათვის დადგენილ ვადებთან, რისთვისაც „15 რიცხვამდე“ იცვლება ჩანაწერით „არა უგვიანეს 15 რიცხვისა“. ამასთან, მე-4 ნაწილის მოქმედი რედაქციით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებით შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს. პროექტის შესაბამისად დეკლარანტის სურვილის შემთხვევაში მთელი გადასახდელი თანხა შეიძლება გადახდილი იქნას ერთდროულად, რათა მას ყოველთვიურად არ მოუხდეს საბანკო დაწესებულებაში სიარული.

118. 270⁵-ე მუხლის „ლ.გ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილებით ზუსტდება საბაჟო გადასახადის გადახდისაგან გასათავისუფლებელი თამბაქოს ნაწარმის ოდენობა.

270⁵-ე მუხლის „ლ.დ“ ქვეპუნქტით უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის დაწესებულია შეღავათი, ანუ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28–96 ჯგუფების შესაბამისი საქონლის იმპორტი, რომლის ღირებულება არ აღემატება 7500 ლარს თავისუფლდება საბაჟო გადასახადის გადახდისაგან. პროექტით, 7500 გაზრდილია 15000 ლარამდე. ხშირად ზღვრული ოდენობა, ანუ „15000 ლარამდე ღირებულების საქონლის“ გაგებულება ისე, რომ მან თუ შემოიტანა საქონელი ზღვრულ ოდენობაზე ზემოთ, მაგალითად 15500 ლარის ღირებულების საქონელი უნდა დაიბეგროს მთლიანი ღირებულებიდან და არა ღირებულება 15000 ლარს ზემოთ იმპორტირებული საქონლის ღირებულებიდან. ცვლილებით სწორდება ეს ხარვეზი.

„ლ.ე“ შეტანილი ცვლილებით ფიზიკური პირის მიერ საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით.

პროექტით მუხლს ემატება „უ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც საბაჟო გადასახადით არ იბეგრება საქართველოს საბაჟო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დაბრუნებული საქონლის იმპორტი.“

119. 272-ე მუხლი ფაქტიურად ყალიბდება ახალი რედაქციით.

პირველ ნაწილში შემოთავაზებული დამატებით ბალანსზე რიცხული ბიოლოგიური აქტივები საქართველოს საწარმოსათვის არ წარმოადგენს ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს. ამასთან, ნაწილი ტერმინოლოგიურად სწორდება და ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, ნაცვლად „ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებისა“ ხდება ბალანსზე „ძირითად საშუალებად აღრიცხული“ აქტივები.

მე-2 ნაწილში შეტანილი ცვლილებით უცხოური საწარმოსათვის ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონება, ნაცვლად მხოლოდ რეზიდენტი პირისათვის გაცემული ქონებისა.

ამავე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების მოქმედი რედაქციის შესაბამისად ქონების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი დიფერენცირებულია ქონების სახეების მიხედვით. კერძოდ, დაბეგვრის ობიექტია უძრავი ქონება, მსუბუქი ავტომობილები, იახტები, თვითმფრინავები, შვეულმფრენები და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება – ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებული მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამეტერიალური აქტივები. პროექტის შესაბამისად, უქმდება აღნიშნული დიფერენცირება და დაბეგვრის ობიექტი ხდება ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. შესაბამისად, მსუბუქი ავტომობილები, იახტები, თვითმფრინავები, შვეულმფრენები ფიზიკური პირისათვის, რომლებიც არ ანხორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს არ წარმოადგენს.

შესაბამისად, ამოღებულია მე-5 ნაწილი.

მე-6 ნაწილში შედის ცვლილება, რომლის შესაბამისადაც საქართველოს ან უცხოური საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საკუთრებაში (სარგებლობაში, მფლობელობაში) არსებული მიწა საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით,

ანუ კონკრეტდება პერიოდი, რომლის მდგომარეობითაც პირი ფლობს აღნიშნულ ქონებას.

120. 273-ე მუხლის (გადასახადის განაკვეთი) პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-9 ნაწილების მოქმედ რედაქციებში მითითებები გაკეთებულია 272-ე მუხლის ნაწილებსა და ქვეპუნქტებზე, ხოლო მე-7 ნაწილში – მე-6 ნაწილზე, რის გამოც ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტზე განაკვეთის განსაზღვრის მიზნით გადამხდელს მუდმივად უხდება პარალელურ რეჟიმში ამ ორი მუხლისა და სხვადასხვა ნაწილების კითხვა. შემოთავაზებით გამარტივებულია და დაკონკრეტებულია გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი.

შემოთავაზებით მთლიანად იცვლება ფიზიკურ პირებზე, გარდა მიწისა, ქონების გადასახადის განაკვეთი. ფიზიკურ პირებზე ვრცელდება დაბეგვრის ერთიანი რეჟიმი. ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც არ ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირებისათვის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, გარდა მიწისა, ქონების გადასახადი იქნება ერთნაირი. კერძოდ, პროექტის თანახმად, ქონების, გარდა მიწისა, გადასახადის განაკვეთი 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის შეადგენს ქონების ღირებულების 0,2%-ს, ხოლო 100 000 და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის –1%-ს.

მე-2 ნაწილის ახალი რედაქციიდან გამომდინარე ამოღებულია მე-3 (განაკვეთები უძრავ ქონებაზე), მე-4 (განაკვეთები მსუბუქ ავტომობილებზე) და მე-5 ნაწილები (განაკვეთები იახტებზე, თვითმფრინავებზე და შვეულმფრენებზე).

მე-7 და მე-9 ნაწილებში ამოღებულია მითითება ამ მუხლის მე-6 ნაწილსა და 272-ე მუხლის მე-6 ნაწილზე.

რადგან, პროექტის შესაბამისად ფიზიკური პირის ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრა დასაბეგრი ქონების ღირებულების მიხედვით ამოღებულია მე-12 და მე-13 ნაწილები.

ემატება მე-14 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც საგადასახადო ვალდებულება მიწაზე განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის, ხოლო სხვა დასაბეგრი ქონების მიხედვით საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

121. 274-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების მოქმედ რედაქციებში მითითებები გაკეთებულია 272-ე მუხლის ნაწილებსა და ქვეპუნქტებზე, რის გამოც ქონების გადასახადით დაბეგვრის განაკვეთის განსაზღვრის მიზნით გადამხდელს მუდმივად უხდება პარალელურ რეჟიმში ამ ორი მუხლის კითხვა. შესაბამისად შემოთავაზებული ცვლილებით, ქონების გადასახადის გამოანგარიშების გამარტივების მიზნით თითოეულ ნაწილში გაკეთებულია მითითება გადასახადის გადამხდელსა და დაბეგვრის ობიექტზე.

მე-6 ნაწილში დასაკონკრეტებელია, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი გამოიანგარიშება 0,24 ლარის გამრავლებით მიწის ნაკვეთის ფართობზე, რომელიც განსაზღვრულია კვადრატულ მეტრებში და არა უბრალოდ ფართობზე, როგორც მოქმედ რედაქციაშია.

მე-10 ნაწილის მოქმედი რედაქციით გამიჯნული არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო რეესტრის ვალდებულებები, ანუ იგულისხმება, რომ მათ კოორდინირებულად უნდა მიაწოდონ საგადასახადო ორგანოებს მიწაზე ქონების გადამხდელთა სიები მიწის ფართობის, შესაბამისი კატეგორიის ან ზონის და გადასახადის განაკვეთის ჩვენებით, რის გარეშეც შეუძლებელია საგადასახადო ორგანოებმა იანგარიშონ მიწაზე ქონების გადასახადი. ვინაიდან აღნიშნული ვალდებულებები არ არის გამიჯნული და არ არის განსაზღვრული რომელი ინფორმაციის წარმოდგენაზე აგებენ პასუხს თვითმმართველობის ორგანოები და საჯარო რეესტრის სამსახურები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, წარმოდგენილი (გამოთხოვილი) ინფორმაცია

ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილია. 274-ე მუხლის „ა“ ნაწილში შემოთავაზებული ცვლილება ითვალისწინებს თვითმმართველობის ორგანოების და საჯარო რეესტრის ვალდებულებების გამიჯვნას. ამასთან, ცვლილება ითვალისწინებს თვითმმართველი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე ზონირების განხორციელების შემთხვევაში ცალკეულ ზონაში შემაჯავლი ქუჩების დაზუსტების მოთხოვნას.

მე-14 ნაწილში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომლითაც ნაცვლად სიტყვებისა „რამდენიმე პირის საკუთრებაშია“ ჩაწერილია „რამდენიმე პირის საერთო საკუთრებაშია“.

122. 275-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებში შესატანი ცვლილებით ამოღებულია მითითება 272-ე მუხლის ნაწილებზე.

პირველ ნაწილში დაკონკრეტებულია, რომ დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ შეიტანება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო სხვა დასაბეგრი ქონება წინა წლის მიხედვით. დეკლარაციის წარდგენის ვადად ყველა სახის ქონებაზე განისაზღვრა არაუგვიანეს საგადასახადო წლის 1 მაისი.

მე-2 ნაწილში შემოთავაზებული ცვლილების შესაბამისად ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ქონებაზეც შეეძლება ფიზიკურ პირს საოჯახო დეკლარაციის წარდგენა.

მე-4 ნაწილში შემოთავაზებული ცვლილებით, ჩამატებულია დებულება გადამხდელის მიერ დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების გადავადების უფლების შესახებ. ამ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო საგადასახადო წლის 1 აგვისტომდე, გადამხდელს წარუდგენს საგადასახადო მოთხოვნას ქონების გადასახადის მიხედვით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების შესახებ. ამასთან, შესაძლებელია, საგადასახადო ორგანოს მიერ დაზღვეული ფოსტით გაგზავნილი „საგადასახადო მოთხოვნა“ ვერ ჩაბარდეს გადამხდელს, რის გამოც შეიძლება გადამხდელმა დროულად ვერ გადაიხადოს გადასახადი. შესაბამისად, ცვლილება შედის მე-4 ნაწილში რომელიც განუმარტავს გადამხდელს, როგორ უნდა მოიქცეს იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარაცია ჩააბარა, მაგრამ საგადასახადო მოთხოვნა ვერ მიიღო. კერძოდ, შემოთავაზებული ცვლილებით, ასეთ შემთხვევაში, მან თავად უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის ასაღებად, ხოლო საგადასახადო ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს გადამხდელზე ან მის წარმომადგენელზე „საგადასახადო მოთხოვნა“.

მე-6 ნაწილში მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით დაემატა, რომ საწარმოების/ორგანიზაციებისათვის ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის გადახდის ვადაა საგადასახადო წლის მომდევნო წლის არა უგვიანეს 1 აპრილისა და მიმდინარე გადასახდელების თანხების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენება საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მე-7 ნაწილში ამოღებულია მითითება მე-6 ნაწილზე.

მე-7 ნაწილის შემდგომ ემატება მე-7¹ და მე-7² ნაწილები, რომლის მიხედვითაც პირს თუ ქონების გადასახადთან მიმართებაში უმცირდება მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულების ოდენობა შესაძლებლობა ეძლევა შეამციროს ან არ გადაიხადოს მიმდინარე გადასახდელი, რისთვისაც გადამხდელი მიმდინარე წლის არაუგვიანეს 1 ივნისისა აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, ასევე წინა საგადასახადო პერიოდთან შედარებით გადასახადის განაკვეთის შეცვლის შემთხვევაში ყალიბდება მიმდინარე გადასახადის გადაანგარიშებული თანხის გამოთვლის მექანიზმი.

პროექტით მე-8 ნაწილში ამოღებულია მითითება 272-ე მუხლზე და შესაბამისად განსაზღვრულია, რომ საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო

ორგანოს წარუდგენს არაუგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ შეიტანება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

პროექტის შესაბამისად მე-11 ნაწილში შესატანი ცვლილებით განისაზღვრა, რომ მარეგისტრირებელმა ორგანოებმა გასხვისებული ქონების შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოებს უნდა წარუდგინონ საქართველოს საქართველოს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ფორმით. კოდექსის არსებული რედაქცია წარსადგენი ინფორმაციის ფორმების დადგენას არ ითვალისწინებს, რის გამოც ინფორმაცია ხშირად არასრულფასოვანია და ამასთან, გართულებულია ამ ინფორმაციის კომპიუტერულ ბაზაში ასახვა.

მე-14 ნაწილში შეცვლილია მითითება 272-ე მუხლზე. ამასთან, ამ მუხლის მოქმედი ნორმა გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირს უფლებას აძლევს მომავალ საგადასახადო წელს აღარ წარადგინოს ქონების გადასახადის დეკლარაცია, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებული შეღავათების მიხედვით მას საგადასახადო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშევა. ამასთან, თუ ფიზიკური პირი გასული წლის მიხედვით წარმოადგენდა ქონების გადასახადის მიხედვით დეკლარანტს, გადაწყვეტილება დეკლარაციის არწარმოდგენის შესახებ ფიზიკური პირის მიერ საგადასახადო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით ეცნობება არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 მაისისა.

123. 276-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით რეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთებისა), აგრეთვე ქონების გადასახადით დაბეგვრის სხვა ობიექტები, გათავისუფლებულია ქონების გადასახადის გადახდისაგან, თუ ამ პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40000 ლარს. „ა“ ქვეპუნქტში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც ამოღებულია სიტყვა „რეზიდენტი“ და დატოვებულია მხოლოდ ფიზიკური პირი, რითაც არარეზიდენტი ფიზიკურ პირებზე, მათ შორის არარეზიდენტ საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებიც საქართველოში ფლობენ ქონებას გავრცელდება ეს შეღავათი. პროექტით, ფიზიკურ პირებისათვის, რომლებიც არ ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირებისათვის მოქმედებს შეღავათი ფიზიკური პირის ოჯახის წლიური შემოსავლის მიხედვით.

პროექტი ითვალისწინებს „დ“ ქვეპუნქტის ამოღებას, რომლის მოქმედი რედაქციით ქონების გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება მიწის ის ფართობები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავებული სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი საქმიანობისათვის.

პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, რითაც საკომუნიკაციო და ელექტროგადამცემი ხაზები შეცვლილია საჰაერო და საკაბელო ხაზებით.

პირველი ნაწილის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებში, რომლითაც შეღავათი დაწესებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა და ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობებზე, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება იცვლება ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებით.

პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ნასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ

მოქალაქეთა ოჯახები ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულები არიან დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში. პროექტით დაზუსტებულია ის დაბეგვრის ობიექტი, რაზედაც აღნიშნული შეღავათი ვრცელდება, ანუ შეღავათი ვრცელდება კონკრეტულად ამ ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ცვლილება რედაქციული ხასიათისაა.

„ძ“ ქვეპუნქტში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, კერძოდ ემეტება სიტყვა „საკუთრებაში“ (საკუთრებაში არსებული ქონება).

პროექტით პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტში შედის რედაქციული ხასიათის ცვლილება, კერძოდ, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება ეხება სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებულ სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთებს. (მოქმედი რედაქცია: „სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთებს, თუ ისინი არ გამოიყენება არასამედიცინო ეკონომიკური საქმიანობისათვის“)

მე-2 ნაწილში შემოთავაზებული დამატებით კონკრეტდება, რომ საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება პირის მიერ იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით სხვა პირზე გადაცემულ არამარტო მთლიან მიწის ნაკვეთზე ან/და შენობა-ნაგებობებზე, არამედ გადაცემული მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობების ნაწილზეც.

მე-2 ნაწილის შემდეგ ემატება მე-3 და მე-4 ნაწილები, რომელთა შესაბამისად განისაზღვრა, რომ ქონების გადასახადის მიზნებისათვის ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი (სარგებელი) საგადასახადო შეღავათების გათვალისწინების გარეშე, ხოლო არარეზიდენტ ფიზიკურ პირთან მიმართებაში შემოსავლები – საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების მიხედვით. ამ შემოსავლებში არ გაითვალისწინება ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება.

124. 281-ე მუხლის 28-ე ნაწილში შემოთავაზებული ცვლილება გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობის სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობად დაყოფის გაუქმებიდან.

35-ე ნაწილში შემოთავაზებული ცვლილებით საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი განაკვეთი 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდის მიხედვით შეადგენს 25%-ს; 2009 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდების მიხედვით შეადგენს 20%-ს; 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე – 18%-ს.

36-ე ნაწილში შემოთავაზებული ცვლილებით საქართველოს საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის ან უცხოური საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 10 პროცენტის განაკვეთით, 2009 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე – 5 პროცენტის განაკვეთით, 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე – 3 პროცენტის განაკვეთით.

პროექტი გულისხმობს 281-ე მუხლზე 38-ე ნაწილის დამატებას, რითაც 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „რ“ ქვეპუნქტის, 172-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 195-ე მუხლის მე-5 ნაწილის და 196-ე მუხლის მე-6 ნაწილის დებულებების უზრუნველსაყოფად განისაზღვრება, რომ ზემოაღნიშნული მუხლების დებულებებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების გამოყენების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

281-ე მუხლს ემატება 39-ე ნაწილი, რომლის შესაბამისადაც საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად ფიზიკური პირების კუთვნილი დაზიანებული ბინების რეკონსტრუქციის ან განადგურებული

ბინების სანაცვლოდ მიღებული ახალი ბინის ღირებულება თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტით არანაირი ფინანსური გავლენა არ ხორციელდება არცერთ პირზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტის მიღებით გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი არ იცვლება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.